



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 8**

ქ. ლანჩხუთი

15. 08. 2017 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ

საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ია ჩხაიძის შვებულების გამო, მე-8 საკითხს წარმოადგენს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწამე. ასევე მე-11 საკითხის მომხსენებელი იქნება გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

3. „ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტს №25 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი რ.ლაშხია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.
/მომხსენებელი რ. ლაშხია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 25 აგვისტო, 11 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნული იყო მირანდა ბახია, რომელიც საჯარო მოხელეთა კონკურსის გავლის შემდეგ გადაყვანილი იქნა იურიდიულ სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში დღეისათვის მომუშავე საჯარო მოხელეები მათზე დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად ართმევენ თავს. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს არსებული შტატის გაუქმება, ე.ი. გამოთავისუფლება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად და გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ასევე უნდა განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. იმის გათვალისწინებით, რომ

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მ/წლის ოქტომბერში გამართვა, პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ბიუროს წევრები მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერმა ვლადიმერ ჩხაიძემ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1.,ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერი ვლადიმერ ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სადაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ახლებურად რეგულირება განისაზღვრა, ამიტომ მიზენშეწონილია დღეს მოქმედი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტს №25 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სადაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ახლებურად რეგულირება განისაზღვრა, ამიტომ მიზენშეწონილია დღეს მოქმედი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №25 განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან სხვა დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტს №25 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ახალი რეგულაციებით მოხდა ხელშეკრულებით მომუშავე მუშაკთა შტატში შეყვანა, ასევე რამდენიმე დამხმარე მოსამსახურესათვის ხელშეკრულების გაფორმება. საჯარო სამსახურის ბიუროდან არის რეკომენდაცია, რომ საშტატო ნუსხაში ერთიანად იყოს შესული მუშაკთა რაოდენობა, რადგან იოლი დასადგენი იყო ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებაში რამდენი მუშაკი მუშაობს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე. ვინაიდან, ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს N01/3007 წერილის თანახმად, რომელიც ეხება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს, წარმოგიდგინოთ - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. მისი თქმით, ცვლილება განპირობებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე დავიწყოთ ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლის პირველ ნახევარში შემოსულობებმა 5788752 ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 50.7%-ია, მათ შორის: გადასახდელების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 380965 ლარი, გეგმის 24.6%-ი; სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 473777 ლარი, გეგმის 58.6%-ი; არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მიღებულია შემოსავალი 3626 ლარი, წლიური გეგმის

1.4%-ი; გრანტის სახით მიღებულია 4930383 ლარი, წლიური გეგმის 56,0%-ი; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3072200 ლარი, გეგმის 57.4%-ი; მიზნობრივი ტრანსფერი 109800 ლარი, გეგმის 49.9%-ი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 1387461 ლარი, გეგმის 52,1%-ი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 107892 ლარი, გეგმის 50.0%-ი; სტიქიით მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციოდ 253030 ლარი, გეგმის 72.3%-ი. მიმდინარე წლის 6 თვეში გაიხარჯა 5741839 ლარი, წლიური ხარჯის 48.9%-ი, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე 886554 ლარი, ფაქტიურად გაწეული ხარჯების 7.5%-ი; შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 58190 ლარი, ხარჯების 0,5%-ი; მივლინების ხარჯებზე მიმართულია 2904 ლარი, ოფისის ხარჯებზე 153953 ლარი, რაც გაწეული ხარჯების 1.3%-ია; წარმომადგენლობით ხარჯებზე მიმართულია 12088 ლარი, რბილი ინვენტარის მუხლიდან მიმართულია 494 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯზე მიმართულია 63760 ლარი, გაწეული ხარჯების 0,6%-ი; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 97493 ლარი, ხარჯების 0,8%-ი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე (ინფრასტრუქტურული ობიექტები) 1634497 ლარი, საკასო ხარჯების 13,9%-ი; სუბსიდირებით გაიცა 2501609 ლარი, ხარჯების 21,3%-ი; სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გაიხარჯა 163452 ლარი, ხარჯების 1,4 %-ი; სხვა ხარჯების მუხლით გაწეულია 83729 ლარი, ხარჯების 0,7 %-ი; ვალდებულების კლებაში (წინა პერიოდის დავალიანება) მიმართულია 83112 ლარი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსებაზე.

დღემდე შეუსრულებულია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის “ ვ ” პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ მუნიციპალიტეტის გამგეობის შტატით და შტატგარეშე მუშაკების წლიური ხელფასის ფონდი შესამცირებელია 71954 ლარით, მათ შორის: სამხედრო სამსახურის 9001 ლარით, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატით და შტატგარეშე მუშაკების ხელფასის ფონდი შესამცირებელია 67212 ლარით. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა დაუშვებელია, ვინაიდან პრობლემას შექმნის წლის დარჩენილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღსრულების პროცესში.

2017 წლის 1 ივლისისათვის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები, სულ ჯამში 42 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა და შპს „ლანჩუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 5 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. ასევე მიღებულია 10 არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის წლიური ბალანსის ფორმები და ფინანსური ანგარიშები 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილი წლიური ბალანსის ფორმები არ არის შევსებული სრულყოფილად. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრებს მიეცათ სიტყვიერი მითითება სრულყოფილი ანგარიშგების წარმოდგენაზე და მათგან 2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ იქნა წარმოდგენილი განმეორებით 2016 წლის წლიური ბალანსის დაზუსტებული ფორმები. ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „გურია“-ს ეცნობა წერილობით, რომ მის მიერ წარმოდგენილი წლიური ბალანსის ფორმა არ იყო სრულყოფილი და არ აკმაყოფილებდა ფინანსთა

სამინისტროს მიერ დამტკიცებულ წლიური ბალანსის ფორმას, რაც დღემდე არ არის წარმოდგენილი. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების მიერ აღნიშნული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშების ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის I და II კვარტლების ბალანსების, ყოველთვიური ანგარიშების ფორმების მიღება-დამუშავებაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 654715 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 4505129 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2017 წლის 6 თვის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 18 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 2-ს, ორივე ტენდერი გამოცხადებული იქნა მრავალფუნქციური პრინტერის შესყიდვი მიზნით. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით შეწყვეტილი იქნა ორი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 49846 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 13 ხელშეკრულება. სულ 2017 წლის 6 თვის განმავლობაში განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 128 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით გამოყოფილია 2654010 ლარი. გამოყოფილი თანხით ფინანსდება სულ 13 სამუშაო. აქედან შვიდ სამუშაოზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება. ხოლო ხიდების შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი.

2017 წლის 23 აპრილის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 350000 ლარი. გამოყოფილი თანხიდან 200001 ლარზე, გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები, ხოლო 149999 ლარზე ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, როგორია თანაფარდობა, 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებსა და 2016 წლის ბიუჯეტის გასულ 6 თვის პარამეტრებს შორის.

გამგებობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ გასული წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 3 600 000 ლარით, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 2 600 000 ლარზე, ამიტომ პროცენტული შედარებები ბევრს ვერაფერს მოგვცემს. თუმცა ფაქტია, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის საბიუჯეტო პროცესი არის უკეთესი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხარჯების კუთხით დაწესებულია 10 %-იანი შეზღუდვა, რამაც გამოიწვია

იმ მუნიციპალიტეტებისთვის უფრო მეტი ფინანსური სირთულეების შექმნა, რომლებსაც ფინანსური კუთხით უფრო უჭირდათ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ გარე განათების ნათურების გათიშვა ხდება მაშინ, როცა უკვე ფაქტობრივად დიდი ხნის გათენებულია. მისი თქმით, ვინმეს უნდა დაევალოს მათი გამორთვა ან ბოძებზე დამონტაჟდეს სპეციალური ე.წ ფოტო-რელები, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მოახდენს ჩართვა-გამორთვას, რაც საგმნობლად დაზოგავს ელექტროენერგიის ხარჯებს და შესაბამისად, დაიზოგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ**, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ებში არის გარკვეული ფინანსური პრობლემები. მისი თქმით, მოწვეულ უნდა იქნას ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და განხილონ ბიუჯეტთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები, რადგან წლის ბოლომდე სრულფასოვნად შეასრულონ თავიანთი უფლება-მოვალეობები. ასევე კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტი ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართავს გათანაბრებითი ტრანსფერის გაზრდის თაობაზე, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოშობილ სირთულეებს დააბალანსებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის გაზრდა ფაქტობრივად არარეალურია. შესაძლებელია, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიემართოს იმ 10 %-იან ხარჯების შეზღუდვის მოხსნაზე, რომელიც მთავრობამ მუნიციპალიტეტებს დაუწესა. მისი თქმით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არის ძალიან დამაბული, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ რამდენიმე ა(ა)იპ-ს ალბათ ოქტომბრის შემდეგ სახელფასო ფონდიც აღარ ექნება, ამიტომ დეტალურად გასარკვევია ის საკითხები, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია არსებული ვითარება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ უნდა დაისვას იმ ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანა მუნიციპალიტეტის საკრებულო. კერძოდ, თუ ერთი წლის განმავლობაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ს ესაჭიროებოდა პირობითად 200 ლარი, მისმა ხელმძღვანელმა მოითხოვა 100 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამის სამსახურებთან ერთად უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტურად და დროულად გატარება.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1394 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოიყო 1010000 ლარი აღნიშნული ღონისძიებებზე ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიაა 15133 ლარი, მათ შორის 10080 ლარი სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯი და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლის ხარჯი 5053 ლარი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯის 10080 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციის და მოვლა შენახვის ხარჯი ანუ 15134 ლარი მიმართოს; 1. სოფელ ნიგვზიანში, დავით მოისწრაფიშვილის ეზოსთან სახიდე გადასასვლელზე 9926 ლარი. 2. სოფელ არჩელში, თამაზ აბაშიძის ეზოსთან რკ. ბეტონის არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა 5208 ლარი. საფუძველი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს სდომის N2 ოქმი/. გამგეობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის მივლინების მუხლი 3000 ლარით უზრუნველყოფილი იქნას 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამგეობაში დასაქმებულ მუშაკთა დაგეგმილ ტრენინგზე მივლინების ხარჯების დაფინანსება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების პაკეტში, კერძოდ, ერთჯერადი დახმარებების პროგრამაში საჭირო თანხები ფაქტობრივად ამოწურულია, იმ ფონზე, როცა ერთჯერადი დახმარების მიმღებთა მომართვიანობა არის ძალიან მაღალი. იგი დაინტერესდა, თუ რა პასუხი უნდა გასცეს მუნიციპალიტეტმა იმ ადამიანებს, რომლებსაც მართლაც, რომ სასიცოცხლოდ ესეაჭიროება ერთჯერადი დახმარება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკრებულოსათვის სამივლინებო ხარჯებისთვის გამოყოფილი 2000 ლარიდან დარჩენილია 1600 ლარი. ის არამართებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საკრებულოს თანამშრომლებს სამივლინებო თანხების ანაზღაურებაზე პრობლემები ექმნებათ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და

ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში პარაზიტი მწერები(ფაროსანა, ამერიკული პეპელა) ფაქტობრივად ანადგურებენ, როგორც თხილის პლანტაციებს, ასევე სიმინდის ყანებს. მისი თქმით, აუცილებლად უნდა განხორციელდეს შესაბამისი შეწამვლითი სამუშაოების შესრულება.

გამგებლის პირველმა მოადგილემ **ნუგზარ ცინცაძემ** განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე წერილობით გაეგზავნა შესაბამისი

მიმართვა და იმედოვნებს, რომ მთავრობა მაქსიმალურად დროულად აღმოუჩენს დახმარებას მუნიციპალიტეტს პარაზიტების დასამარცხებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს ფრაქციის „მეტი ქალი პოლიტიკაში“ შემადგენლობაში ცვლილების შესახებ, კერძოდ ფრაქციის წევრმა ელისო ჭიჭინაძემ განცხადების საფუძველზე დატოვა აღნიშნული ფრაქციის შემადგენლობა და გაწევრიანდა საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“. ასევე, ფრაქცია „დამოუკიდებელი“ წევრმა რომან ბიწაძემ განცხადების საფუძველზე დატოვა ფრაქცია „დამოუკიდებელი“ და იგი გაწევრიანდა ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო

